

შეხვედრა კათოლიკოს-პატრიარქსა და წმინდა სინოდთან
თბილისი - საპატრიარქო
ორშაბათი, 8 ნოემბერი, 1999 წ.

*თქვენო უწმიდესობავ,
ყოვლადუსამღვდელოესო მეუფენო,
ძვირფასო ძმანო მღვდელმთავარნო,*

1. დიდად მადლიერი ვარ ღვთის განგების, რომ მომეცა თქვენთან შეხვედრის შესაძლებლობა, პასუხად ოცი წლის წინანდელი ისტორიული მოვლენისა, როდესაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეწვია რომის საყდარს. მაშინ ჩვენ ერთურთს სამშვიდობო ამბორი მივაგეთ და შევპირდით, რომ ერთმანეთისთვის ვილოცებდით. და დღეს, თქვენი თავაზიანი მოწვევის წყალობით, წილად მხვდა ბედნიერება გწვეოდით საპასუხო ძმური ვიზიტით. პირადად ჩემთვის ეს გახლავთ ღვთის დიდი საჩუქარი, რადგან შესაძლებლობა მეძლევა კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი მოწიწება და პატივისცემა თქვენს ზრუნვას მინდობილი ეკლესიის მიმართ. თქვენს მიწაზე სახარების ქადაგების პირველი დღიდანვე, საქართველოს ეკლესია იქცა ქრისტეს ერთგულ მოწმედ და სახარებისეული ფასეულობებით აღსავსე კულტურის შთაგონების წყაროდ. დღეს კი, კვლავ მოპოვებული თავისუფლების გარემოში, საქართველოს სამოციქულო ეკლესია იმედიანად უმზერს მომავალს, რათა ღვთიური მადლის ყოვლისშემძლე ძალით გულანთებულმა რწმენის ახალ გაზაფხულს დააწაფოს ეს კურთხეული მხარე.

ამიტომაც, ქრისტესმიერი მშვიდობით მივესალმები მის უწმიდესობას, წმიდა სინოდის მთავარეპისკოპოსებსა და ეპისკოპოსებს. რაოდენ ნიშანდობლივია, რომ რომის ეპისკოპოსის პირველი სტუმრობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ხდება დიდი იუბილის გარიჟრაჟზე, ორი ათას წლისთავზე ღვთის ძის დაბადებიდან, რომელიც მამამ მოავლინა კაცობრიობის ცოდვათა გამოსასყიდად. დიდი იუბილე მოუწოდებს ყველა მორწმუნეს, ერთხმად აღავლინონ სამადლობელი ჰიმნი ქრისტეში ხსნისა და ერთად იღვაწონ ქრისტესმიერი სიწმინდის, სამართლიანობისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად. ამავე დროს, იუბილე მოგვიწოდებს გულისტკივილითა და სინანულით გავაცნობიეროთ ის გათიშვა, რომელიც ჩვენს შორის მოხდა ამ ათასწლეულის მანძილზე, წინააღმდეგ უფლის ნებისა, რომელმაც ლოცვა წარმოთქვა თავისი მოწაფეების ერთიანობისთვის (*იოანე 17, 21*). დაე, ჩვენი შეხვედრა და სამშვიდობო ამბორი, რომელსაც ერთმანეთს მივაგებთ იქცეს ღვთიური მადლით გაცისკროვნებულ წინგადადგმულ ნაბიჯად ჩვენი ერთიანობისკენ მიმავალ გზაზე, რათ მეტი სიმართლით დავემოწმოთ იესო ქრისტეს და სახარებას მარადიული სიცოცხლისა!

2. მსურს დაგიდასტუროთ კათოლიკური ეკლესიის უღრმესი მოწიწება საქართველოს ეკლესიისადმი. იერუსალიმის პირველყოფილ თემში ფესვგადგმული ქართული ეკლესია ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. ანდრია მოციქულის ქადაგებით გასხვივსნებული მეფე და ერი საბოლოოდ მოიქცა წმ. ნინოს მიერ. დასავლელი ავტორი რუფინუსი თავის „ეკლესიის ისტორიაში“ იძლევა წმინდა ნინოს ცხოვრების ამსახველ უძველეს ცნობებს. ტყვედქმნილი წმინდანი, სიტყვითა და ლოცვით, შენანებითა და სასწაულებით ქადაგებდა ღვთის სახარებას. „სვეტი ცხოველი“, რომელსაც ვერავითარმა ადამიანურმა მანქანამ თუ ძალისხმევამ ძვრა ვერ უყო და, მხოლოდღა წმინდანის ლოცვის ძალით, მშენებარე ეკლესიას ბოძად შეუდგა - აი, უმშვენიერესი ხატება წმიდა ნინოსი, რომელიც თავად იქცა ქართველი ერის რწმენის ჭეშმარიტ დედაბოძად. მიწაზე, სადაც, გადმოცემის

თანახმად, ქრისტეს პერანგი ინახება, წმინდა და განსწავლულმა ბერებმა არაერთი ხელთუქმნელი ძეგლით გაამდიდრეს კულტურისა და ცივილიზაციის საგანძური. თვით ქართული ანბანის ასოებიც კი ხალხის ენაზე ღმერთის სიტყვის საქადაგებლად შეიქმნა. უამრავმა წამებულმა თავი შესწირა წმიდა სახარებას, როცა ქრისტეს რწმენა დანაშაულად ითვლებოდა და სიკვდილით ისჯებოდა. გავიხსენოთ ცხრა კოლაელი წამებული ყრმა, წმიდა შუშანიკი, ევსტათი მცხეთელი, აზო თბილელი, ქეთევან წამებული. ამგვარი ქრისტიანული ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყანა ღირსია მსოფლიო ეკლესიის მხრიდან საყოველთაო აღიარებისა.

ჩვენი აწ მიწურული საუკუნეც უამრავი ქართველი მორწმუნისა და წამებულის მოწმეა. თქვენი ქვეყანა კიდევ ერთხელ განიბანა ჩვენს დასახსნელად მსხვერპლშეწირული კრავის მოწმეთა სისხლით. შვეთხოვოთ მათ, შეავდრონ უფალს ჩვენი ეკლესიები, რათა შევძლოთ ერთად სვლა მშვიდობის ბილიკზე, რისი მოცემაც მხოლოდ მკვდრეთით აღმდგარ უფალს ხელეწიფება.

3. აქ, ამ ადგილას, ამ განგების წუთს, არ შემიძლია მადლობა არ ვუძღვნა ღმერთს იმ ნაყოფისათვის, რომელიც კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობამ გამოიღო უკანასკნელ წლებში, დაწყებული მსოფლიო პატრიარქი ათენაგორა I-სა და პაპი პავლე VI-ის შეხვედრით. სულიწმიდას კარნახით დამომღვრილი და ღრმა პიროვნული თვისებებით გამორჩეული ამ ორი დიდი წინამძღოლის ძალისხმევით ჩვენი ეკლესიები შეუდგნენ ბილიკს, რომელმაც, ღვთის წყალობით, მიგვიყვანა ურთიერთპატივისცემითა და სიყვარულით განმსჭვალულ, წმინდა თეოლოგიურ დიალოგამდე. ერთობლივი საერთაშორისო კომისიის შექმნის დღიდანვე, გულდასმით ვადევნებდი თვალყურს ამ დიალოგის განვითარებას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანთა ერთობისთვის. კომისიის მუშაობამ, რომელიც იმთავითვე ამ ორი რელიგიისათვის საერთო შეხედულებებს დაეყრდნო, მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა. მას შემდეგ, რაც კომისია, მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დამტკიცებულ იქნა, დამუშავდა ისეთი უმნიშვნელოვანესი თემები, როგორებიცაა, მაგალითად, *ეკლესიის საიდუმლოება და ექსკრისტია წმიდა სამების საიდუმლოებასთან მიმართებაში; ეკლესიის რწმენა, საიდუმლონი და ერთობა; მღვდლობის საიდუმლოება ეკლესიის საიდუმლოებრივ სტრუქტურაში; სამოციქულო მემკვიდრეობითობის მნიშვნელობა ღმერთის ხალხის კურთხევისა და ერთობისათვის*. კომისია იმ საკითხებზე საუბარსაც განაგრძობს, რომლებიც საკმაო სირთულეებს უქმნის ჩვენი ეკლესიების მიერ წამოწყებულ ერთობლივ მსვლელობას. მჯერა, რომ ამ დიალოგის დოკუმენტები საფუძვლად დაედება ჩვენს შორის ურთიერთობის გარკვევის საქმეს და თავიდან აგვაცილებს გაუგებრობებს ერთმანეთის გვერდიგვერდ მცხოვრებ კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა შორის. მუშაობა უნდა გაგრძელდეს - მოთმინებითა და რუდუნებით, ძმობისა და ჭეშმარიტებისადმი ერთგულების სულისკვეთებით უნდა დაიძლიოს ყველა წინაღობა.

ამასთან დაკავშირებით, სიამოვნებით ვიგონებ კათოლიკური ეკლესიის ნაყოფიერ კონტაქტებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რომელთაც საფუძველი ჩაუყარა ვატიკანის მეორე მსოფლიო კრებაზე თქვენი ეკლესიის დამკვირვებლების გამოგზავნამ. მისი უწმიდესობის რომში ჩამობრძანებამ კი დასაბამი მისცა ძმურ ურთიერთობათა ახალ ეტაპს. აქვე მინდა გავიხსენო, რომ 1991 წელს, ცხუმ-აფხაზეთის აწ განსვენებული მთავარეპისკოპოსი დავითი, სხვა წარგზავნილებთან ერთად მონაწილეობდა ეპისკოპოსთა სინოდის პირველ სპეციალურ ევროპულ კრებაზე, რომელმაც თვალნათლივ წარმოაჩინა ბოლოდროინდელი ცვლილებებით განპირობებული ახალი ევანგელიზაციის აუცილებლობა. ახლა, როცა ქრისტიანული ევროპა ახალ ათასწლეულში შესაბამისად ემზადება, რაოდენ საჭიროა, რომ საქართველომ, უძველესი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანამ, თავისი წვლილი შეიტანოს მაღალსულიერი კულტურის, სიყვარულზე დაფუძნებული და სახარების მაცოცხლებელი ცნობით შთაგონებული ცივილიზაციის შექმნაში!

4. უკანასკნელ წლებში, თქვენი ქვეყნის მიერ თავისუფლების დაბრუნებამ კიდევ უფრო უშუალო გახადა ჩვენი ეკლესიების ურთიერთობა. თავის მხრივ, კათოლიკურ ეკლესიას შესაძლებლობა მიეცა საკუთარ მრევლზე ზრუნვისა. გულმხურვალედ ვიმედოვნებ და მუდამდღე ვლოცულობ, რათა კიდევ უფრო გაფართოვდეს და ახალ სიმაღლეზე ავიდეს თანამშრომლობა ჩვენს ეკლესიებს შორის, როგორც მკაფიო და საშური გამოხატულება სახარებისადმი ერთგულებისა, რომლისკენაც მოწოდებულნი არიან მართლმადიდებლებიცა და კათოლიკეებიც. გარწმუნებთ, რომ ჩემი წარმომადგენელი საქართველოში ყოველ ღონეს იხმარს, რათა ჭეშმარიტად ქრისტიანული სულისკვეთებით ხელი შეეწყოს თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების პროცესს, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი გაუგებრობისა და უნდობლობისაგან და დაეფუძნება სრულ ურთიერთპატივისცემას. მან კარგად იცის, რას ნიშნავს ეს რომის ეპისკოპოსისთვის. ნუ შეგვაშინებს შერიგების ძნელადსავალ ბილიკზე წამოჭრილი სირთულენი. შევთხოვოთ სულწმიდას ბოლომდე მიგვაყვანინოს ღვთის მორჩილებით წამოწყებული ეს საქმე.

თქვენო უწმიდესობავ, ძვირფასო მთავარეპისკოპოსნო და ეპისკოპოსნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ჩემი აქ მოწვევისთვის. მრავალი წლის წინათ მოცემული პირობის თანახმად, გარწმუნებთ, რომ კვლავაც ვილოცებ, რათა ღმერთმა მოჰმადლოს საქართველოს ღრმადპატივცემულ ეკლესიას უშრეტი ძალა საკუთარი სამოციქულო მისიის აღსასრულებლად. ძვირფასო მმაო, დაე, სულიწმიდამ თავისი ნათელი და სიბრძნე გარდმოგივლინოთ თქვენ და ყველა ეპისკოპოსთ, რომელნიც თქვენთან ერთად იზიარებენ პასუხისმგებლობას იესო ქრისტეს სახარების გასაცხადებლად საქართველოში. „*მას, ვისაც ჩვენში მოქმედი ძალით განუზომლად მეტის ქმნა ძალუმს, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ, ანდა გვგონია, - დიდება ეკლესიაში, ქრისტე იესოსა და ყველა თაობაში, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.*“ (ეფეს, 3,20-21).